საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, პეტრე მელიქიშვილის გამზირი #39, #41-ში,
#01.15.03.014.018 მიწის ნაკვეთზე,
საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	04.09.2025

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
5. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. გზა-კიბეების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
8. გარე კედლების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
9. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
10. კარის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
11. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
12. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
13. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
14. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
15. მისაწვდომობის დეტალური ნახაზები;

დასკვნის სარჩევი:

- გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1
- შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2
- კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3
- მაღლივი შენობისადმი მოთხოვების შეფასება ---------- 4
- ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 5
- ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 6
- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 7
- გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 8
- მისაწვდომობის შეფასება ---------- 9
- შიგა გარემოს შეფასება ---------- 10
- გარე კედლების შეფასება ---------- 11
- სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 12
- წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 13
- ლიფტის შეფასება ---------- 14

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, პეტრე მელიქიშვილის გამზირი #39, #41-ში, #01.15.03.014.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. საპროექტო მიწის ნაკვეთს სამხრეთით ესაზღვრება პეტრე მელიქიშვილის გამზირი, ხოლო ჩრდილოეთით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შიდა ეზო, აღნიშნული ორი საავტომობილო გზიდან ხორციელდება საპროექტო შენობასთან სახანძრო ტექნიკით მიდგომა. დასავლეთით და აღმოსავლეთით კი ტერიტორია შემოფარგლულია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებით.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება მარტივი რელიეფურობით, აღნიშნულის გათვალისწინებით საპროექტო შენობისათვის სავალდებულოდ არ განისაზღვრა მიწის საკონტროლო დონის ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით დადგენა. მიწის დონედ მიჩნეულია პეტრზე მელიქიშვილის გამზირის ნიშნული, რომლიდანაც განისაზღვრა შენობის კონსტრუქციული სიმაღლე და სართულიანობა.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია საოფისე შენობის მშენებლობა, რომელშიც განთავსებულია შემდეგი სახის ფართობები:

- მიწის დონის ქვედა II სართული (-6.45 ნიშნულზე) – შემოზღუდული ავტოსადგომი და დამხმარე ფართები.
- მიწის დონის ქვედა I სართული (-3.30 ნიშნულზე) – შემოზღუდული ავტოსადგომი, დამხმარე და ტექნიკური ფართები.
- მიწის დონის ზედა I სართული (+0.00 ნიშნულზე) - ლობი, მაღაზია, დამხმარე და საინჟინრო ფართები.
- მიწის დონის ზედა II - VIII სართულები (+3.63 - +23.55 ნიშნულებზე) - საოფისე სივრცეები, დამხმარე და საინჟინრო ფართები.
- +26.70 ნიშნულზე - სახურავი.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი (გარდა -6.45 ნიშნულისა, სადაც არაა განთავსებული მისაწვდომი ავტოსადგომი) მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-9 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია აქტიური და პასიური ხანძარქრობის სისტემებით. თითოეულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემასთან მიმართებაში ვრცელი ანალიზი ჩაშიფრულია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

საპროექტო შენობის ფასადები შეიფუთება ბეტონის სტანდარტული და გამჭვირვალე პანელებით, ასევე შეიმინება ალუმინის ბადიანი გაუმჭვირვალე და გამჭვირვალე მინა-პაკეტით. ფასადებისა და სახურავის ანაწყობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-10 და მე-11 თავებში.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე სივრცეები +3.63 - +23.55 ნიშნულებზე)- შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

  - **სავაჭრო ჯგუფი სვ** (სავაჭრო სივრცე 0.00 ნიშნულზე)- შეესაბამება 309.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (საინჟინრო-ტექნიკური ოთახები -3.30 - +23.55 ნიშნულებზე) - რაც მეტნაკლებად შეესაბამება 306.2 ქვეთავს, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (სხვადასხვა ტიპის დამხმარე-სასაწყობე სივრცეები თითოეული სართულის დონეზე)- შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის შემცველი მასალების შესანახი საწყობები.

  - **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომები -3.30 და -6.45 ნიშნულებზე) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომები;

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - საოფისე სივრცეებისთვის ---------- 9.3 მთლიანი;

- საავჭრო სივრცისთვის ---------- 2.8 მთლიანი;
- ტექნიკური სივრციებისთვის ---------- 27,9 მთლიანი;
- დამხმარე-სასანყობე სივრცეებისთვის ----------46.5 მთლიანი.
- ავტოსადგომებისთვის ---------- 18.6 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია 10 სართულიანი (8 სართული მიწის დონის ზედა, ხოლო 2 სართული მიწის დონის ქვედა სართულებით) შენობის მშენებლობა.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან უტოლდება 30.20 მეტრს.

- შენობაში გათვალისწინებულია სქ, სვ, სწ-1 და სმ-1 ჯგუფები და აღნიშნული სართულების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგი სახით:
  - მიწის დონის ქვედა II სართულზე ---- ჯგუფი სწ-1 (33.2 მ²); ჯგუფი სწ-2 (510.6 მ²);
  - მიწის დონის ქვედა I სართულზე ---- ჯგუფი სწ-1 (13.1 მ²); ჯგუფი სწ-2 (510.6 მ²); ჯგუფი სმ-1 (19.5 მ²);
  - მიწის დონის ზედა I სართულზე ----- ჯგუფი სვ (187.7 მ²); ჯგუფი სმ-1 (5.46 მ²); ჯგუფი სწ-1 (16.27 მ²);
  - მიწის დონის ზედა II სართულზე - ჯგუფი სქ (417.0 მ²); ჯგუფი სმ-1 (5.0 მ²); ჯგუფი სწ-1 (2.42 მ²);
  - მიწის დონის ზედა III – VI სართულებზე - ჯგუფი სქ (497.3 მ²); ჯგუფი სმ-1 (5.0 მ²); ჯგუფი სწ-1 (2.42 მ²);
  - მიწის დონის ზედა VII სართულზე ---- ჯგუფი სქ (444.6 მ2); ჯგუფი სმ-1 (5.0 მ2); ჯგუფი სწ-1 (2.42 მ2);
  - მიწის დონის ზედა VIII სართულზე ---- ჯგუფი სქ (443.8 მ2); ჯგუფი სმ-1 (5.0 მ2); ჯგუფი სწ-1 (2.42 მ2);

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის (I-B) მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-B)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. IB ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, რომელიც უნდა შესრულდეს და დაზუსტდეს კონსტრქუციულ პროექტში.

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი არქიტექტურული დოკუმენტაციის მიხედვით შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული უნდა იყოს 721 ან 722 ქვეთავების მიხედვით:

  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2სთ.
  გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.
  იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.
  სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე კედლებს, მათთან მიმართებაში დაცულია 602 ცხრილის მოთხოვნები. <u>იხილეთ წესების ანალიზი.</u>

4 მაღლივი შენობისადმი მოთხოვნების შეფასება:

- 202-ე ქვეთავის განმარტების თანახმად, მაღლივი შენობა წარმოადგენს ისეთი ტიპის შენობას, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მეტრზე ზემოთ. საპროექტო შენობის ბოლო დაკავებული სართულის იატაკის დონე, სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი დონიდან (ყველაზე დაბალ მისადგომ გზად კი განსაზღვრულია ჩრდილოეთით არსებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უკანა ეზო) განთავსებულია 25.89 მეტრზე, შესაბამისად საპროექტო შენობა განეკუთვნება მაღლივის I კატეგორიას.
- თანახმად 403.3 ქვეთავისა, მთელი საპროექტო შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.
- აღმომჩენი, განგაშისა და საავარიო სისტემები მაღლივ შენობაში შეესაბამება 403.4.1 – 403.4.8 ქვეთავებს.
- შენობაში ხანძრის საკონტროლო ცენტრის განთავსების ვალდებულება არ განისაზღვრება, ვინაიდან მისი სიმაღლე სახანძრო მანქანის მისადგომიდან ბოლო სართულის იატაკის ნიშნულამდე არ ცდება 37 მეტრს, თანახმად 911 ქვეთავისა.
- საპროექტო შენობა აღჭურვილია ბუნებრივი და მექანიკური სანიავებელი სისტემით, რაც შეესაბამება 403.4.6 პუნქტის მოთხოვნას.
- წარმოდგენილი პროექტით სათადარიგო და საავარიო ელ. სისტემას შენობაში წარმოადგენს გენერატორი, რომელიც განთავსებულია სახურავის დონეზე. გასათვალისწინებელია, რომ:
  - ელექტროენერგია და განათება იმ სივრცისათვის, სადაც განთავსებულია სახანძრო პანელები; განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილობები დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცეებისთვის და ლიფტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრომომარაგებით.
  - გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი სამუალებების განათება; ლიფტის კაბინის განათება; საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები; ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები; სახანძრო განგაშის სისტემები; ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები) უზრუნველყოფილი უნდა იყოს საავარიო ელექტროდატვირთვით.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 9,0 მეტრზე მეტად, თანახმად 403.5.1 ქვეთავისა და ამასთანავე კიბეებში შემავალ გზა-კარს შორის მანძილი შეესაბამება 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბეები შეესაბამება 909.20 და 1022.10 ქვეთავების მოთხოვნებს, თანახმად 403.5.4 ქვეთავისა.
- საპროექტო შენობის გასასვლელი ბილიკების განათებული აღნიშვნები შეესაბამება 1024.1 ქვეთავის მოთხოვნას.

5 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს -3.30 და -6.45 ნიშნულებზე შემოზღუდული ავტოსადგომების განთავსებას. ასევე ავტოსადგომი სივრცე გათვალისწინებულია გარე სივრცეშიც.
  - შემოზღუდული ავტოსადგომების დონეებზე ავტომანქანებით მოხვედრა ხდება საავტომობილო ლიფტით.
  - ავტოსადგომები განთავსებულია ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რაც აკმაყოფილებს 406.9.2.3 ქვეპუნქტის მოთხოვნას.
- შემოზღუდული ავტოსადგომები უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, თანახმად 406.6.2 ქვეთავისა.
- შემოზღუდული ავტოსადგომები უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 406.6.3 ქვეთავისა.
- ავტოსადგომების დონეებზე ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართობებზე იატაკის დონიდან თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.15 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 406.4.1 და 406.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს. მიკროავტობუსის სადგომი გათვალისწინებულია გარე სივრცეში, შესაბამისად ასეთი ავტოსადგომის თავისუფალი სიმაღლე აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნას, 2.5 მეტრის სახით.
- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომებზე შშმ პირთათვის გათვლილი ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ

სტანდარტებს“, კერძოდ შემოზღუდულ ავტოსადგომზე გათვალისწინებულია ერთი მსუბუქი ავტომანქანის, ხოლო გარე სივრცეში ერთი მიკროავტობუსისთვის განკუთვნილ სივრცე, 1106.5 ქვეთავის მოთხოვნის და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-თ განსაზღვრული ზომების შესაბამისად.

- საპროექტო ტერიტორიაზე და შენობაში გათვალისწინებული საავტომობილო გზის სიგანე შეესაბამება 406.9.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: იმის გათვალისწინებით, რომ ავტოსადგომზე ავტომობილების რაოდენობა არ აღემატება 50-ს, დასაშვებია 3.5მ სიგანის საავტომობილო გზის მოწყობა, თანახმად 406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისისა. საავტომობილო გზის სიგანე უტოლდება 3.5 მეტრს, თანახმად 406.9.4.1 ქვეთავისა.
- საავტომობილო გზის შიგა მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- საავტომობილო გზის დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (თითოეული ავტომობილის სადგომისთვის) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომებზე, ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.

6 | ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან, შესაბამისად აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.

- თანახმად 705.8.5 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა, ღიობების შვეული გამიჯვნა არ ეხება შენობებს, რომლებიც აღჭურვილია 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით; საპროექტო შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. <u>იხილეთ წესების ანალიზში მოყვანილი ცხრილი.</u>

- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე ცდება 0.76 მეტრს და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მისი საყრდენი გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახურავის ანაწყობში განთავსებული ლიუკის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 711.8 ქვეთავის მოთხოვნას და მსგავსად სახურავის ანაწყობისა უტოლდება 2 საათს.

- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს მზიდ კედლებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას. ანალოგიური ცეცხლმედეგობის ხარისხებია მინიჭებული შიგა გასასვლელის გზა-კიბეების ვესტიბიულებისათვის, რომლებიც განთავსებულია მიწის დონის ქვედა სართულებზე.

- 0.00 ნიშნულზე განთავსებული გასასვლელის გზა-დერეფნის შემომზღუდავი კედლების, იატაკისა და ჭერის ცეცხლმედეგობის ხარისხი არ არის შიგა გასასვლელის გზა-კიბის აუცილებელ ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები და განსაზღვრულია 2 საათით, რაც შეესაბამება 1023.3 ქვეთავს.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

- შენობის შემადგენელი ნაწილები დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობებად, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ურთიერთ დაცულ ნაწილებად ფორმირების მიზნით.

თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობად და ასეთი სახის გამიჯვნა უზრუნველყოფილია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

- ცეცხლმედეგ ზღუდეებზე დაცულია 707.6 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის მიხედვით ღიობების მაქსიმალური საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-ზე მეტი, ხოლო თითოეული ინდივიდუალური ღიობის მაქსიმალური ფართობი 15 $მ^2$-ს არ აღემატება.

  ასევე გასათვალისწინებელია, რომ ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ იზღუდება შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემომზღუდავებისათვის, თანახმად 707.6 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.

- მთლიანად ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილ შენობაში, დერეფნის ცეცხლმედეგ ტიხრებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა, თანახმად 1018.1 ცხრილისა.

- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ლიფტს არ ემსახურება ფოიე მიწის დონის ზედა სართულებზე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისზე დაყრდნობით; ხოლო შემოზღუდული ავტოსადგომის საზღვრებში ლიფტი უზრუნველყოფილია 713.14.1 ქვეთავის შესაბამის დაუკვამლიანებელი ფოიეებით.

- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

7 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 403.3 ქვეთავისა, მაღლივი შენობა მთლიანად უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

- რაც შეეხება ავტოსაშხეფი სისტემის მომსახურე სახანძრო ტუმბოს და წყლის ავზებს, ასეთი მექანიკური მოწყობილობების სივრცე განთავსებულია მიწის დონის ქვედა სართულზე, -3.30

ნიშნულზე და ისეთი ადგილმდებარეობით, რომ სახანძრო ტუმბოსთან შესაძლებელია მარტივი მიდგომა #1 გზა-კიბის საშუალებით. სახანძრო ტუმბოსათვის განკუთვნილი ოთახი სხვა ფართობებისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებითა და 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით.

- სახანძრო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები განთავსებულია საპროექტო ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზის მიმდებარედ. რაც შეეხება ჰიდრანტს, საპროექტო მიწის ნაკვეთისაგან არაუმეტეს 200 მეტრის არეალში, მელიქიშვილის გამზირზე განთავსებულია არსებული ჰიდრანტი, რომელიც გამოყენებული იქნება საპროექტო შენობის ხანძარქრობისას.

- <u>გასათვალისწინებელია, რომ ავტოსაშხეფი სისტემა უნდა მოეწყოს NFPA 13-ის მოთხოვნების დაცვით. სახანძრო ტუმბოები, სამართავი და მაკონტროლებელი მოწყობილობები, დაცული და ტესტირებული უნდა იყოს NFPA 20-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.</u>

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან (გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სახანძრო მილდგარები ნებადართულია შენობებში, სადაც დაყენებულია ავტოსაშხეფი სისტემა); მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია მთელ შენობაში.

  თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

  თანახმად 905.4 ქვეთავისა:
  გზა-კიბეებზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის

არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. მეხანძრისათვის განკუთვნილი მიერთების ვენტილი განთავსებულია ორივე კიბის უჯრედში, იატაკის დონეზე არსებულ ბაქნებზე.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:
II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. სახანძრო მილდგარის კარადა განთავსებულია თითოეული სართულის დონეზე, #1 გზა-კიბის სიახლოვეს.

ასეთი სახით მილდგარების მოწყობის საკითხი უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. მილდგარები უნდა მოეწყოს NFPA 14_ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია მთელ შენობაში, თითოეული სართულის დონეზე, სახანძრო კარადებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას. ხელის ცეცხლმაქრები მოეწყოს NFPA 10_ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- მიუხედავად იმისა, რომ მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და 907 ქვეთავის შესაბამისი ნაწილებით დასაშვებია გამონაკლისებით სარგებლობა, მთელი შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით და იმის გათვალისწინებით, რომ მაღლივ შენობებში მოითხოვება საგენგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობა,

აღნიშნული სისტემა, მხედველობითი განგაშითურთ, მოწყობილია საპროექტო შენობის თითოეულ სართულზე. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 907 ქვეთავის მოთხოვნებთან.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატებოდეს. შვეულად გაზომვისას, იატაკის დონიდან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების გასააქტიურებელ სახელურამდე ან ბერკეტამდე, არანაკლებ, 1,0 მ და, არაუმეტეს, 1,4 მ უნდა იყოს.

რაც შეეხება საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემას, ცეცხლის ავტომატური ნებისმიერი აღმომჩენის, საშხეფის წყლის ჭავლის მარეგულირებელი მოწყობილობის ან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფის ამუშავებისას, ავტომატურად უნდა გამოიცეს სიგნალი, რომელსაც მოჰყვება ხმოვანი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საერთო ან ეტაპობრივი ევაკუაცია. რუპორები უნდა განთავსდეს მთელ შენობაში რადიოგამოძახების ზონების მიხედვით. რადიოგამოძახების ზონები უნდა მოეწყოს, სულ მცირე, ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში: 1. ლიფტთან, 2. გასასვლელის გზა-კიბეებზე, 3. ყოველ იატაკზე/სართულზე. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემას, ასევე, უნდა შეეძლოს პირდაპირი ხმოვანი შეტყობინებების გადაცემა რადიოგამოძახების ზონების საშუალებით შერჩევითი ან საყოველთაო გამოძახების საფუძველზე. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემებს უნდა ჰქონდეს აღიარებული საავარიო ელექტრომომარაგების წყარო.

- მთელი შენობა აღჭურვილია კვამლაღმომჩენებით, ხოლო ავტოსადგომის საზღვრებში მოწყობილია თბური დეტექტორებიც, რაც შეესაბამება 907 ქვეთავით დადგენილ მოთხოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ გზა-კიბეებისათვის სავალდებულოა დაწნევის სისტემა, თანახმად 909.20.6 ქვეთავისა, ასეთი სისტემა უნდა ამოქმედდეს კვამლაღმომჩენებით, რომელიც დაყენებულია თითოეული სართულის იატაკის დონეზე. აღნიშნული ვალდებულება განისაზღვრება ლიფტის შახტების დაწნევის კუთხითაც. თითოეული ელექტრომექანიკური მოწყობილობის და ლიფტის სამანქანე სივრცეებში, მოწყობილია კვამლაღმომჩენები, თანახმად 907.2.13.1.1 ქვეთავისა.

- თითოეულ სართულზე, დერეფნის საზღვრებში, განთავსებულია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, თანახმად 907.5.2.3.1 ქვეთავისა.

- საავარიო განათება მოწყობილია თითოეული სართულის დონეზე გასასვლელის კომპონენტებში და სახანძრო ტუმბოს ოთახში, რაც შეესაბამება 1006 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად. ელექტროგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს NFPA 70-ისა და NFPA 72-ის მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- საპროექტო შენობა უზრუნველყოფილია კვამლსაწინააღმდეგო სისტემებით. თითოეული შიგა გასასვლელის გზა-კიბე აღჭურვილია დაწნევის სისტემით. დაწნევის სისტემის მომსახურე დანადგარები განთავსებულია თითოეული შახტის სახურავზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ წესების მიხედვით შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე უნდა შეიქმნას სულ მცირე, 25 პა და, არაუმეტეს, 87 პა წნევა გზა-კიბის ყველა კარის დახურვისას, მაქსიმალური თვითწევისა და ქარის გავლენის პირობებში. გზა-კიბეების დაწნევის სისტემა სრულად უნდა პასუხობდეს 909.20.5 და 909.20.6 ქვეთავების მოთხოვნას, რაც საგალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას.

- დაწნევის სისტემით არის აღჭურვილი შენობაში განთავსებული თითოეული ლიფტის შახტი. ლიფტის შახტის დაწნევის სისტემა სრულად უნდა პასუხობდეს 909.21 ქვეთავის მოთხოვნას, რაც საგალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კვამლის საკონსტროლო სისტემები უნდა მოეწყოს წესების 909 ქვეთავის მოთხოვნების სრული დაცვით და იმ სტანდარტების მიხედვით, რომელიც გაწერილია 909 ქვეთავში (ასევე დასაშვებია მითითებული

სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება). კვამლის საკონტროლო სისტემების საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:

- 915 ქვეთავის მიზნებისათვის გამოვლინდა შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე, რომელიც განისაზღვრება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობასთან მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან შენობის ყველაზე მაღლა მდებარე იატაკის ნიშნულამდე. ასეთი სიმაღლე უტოლდება 25.8 მეტრს. შესაბამისად 915.12 ქვეთავზე დაყრდნობით სქ ჯგუფის შენობაში, რომლის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 23 მეტრზე მაღლაა, გზა უნდა მოეწყოს, სულ მცირე, ორი მხრიდან მთელ სიგრძეზე. ასეთი ორი გზა უდგება საპროექტო შენობის ღიობებიან ფასადებს. ერთი მათგანი განთავსებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთით, პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახით, ხოლო მეორე ჩრდილოეთით - შარაშიძის ქუჩაზე განთავსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უკანა ეზოს სახით.

- მელიქიშვილის გამზირის სიგანე აღემატება 6,0 მეტრს და სახანძრო ტექნიკით ლავირების ფართე დიაპაზონის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა შარაშიძის ქუჩაზე განთავსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უკანა ეზო და მასთან დაკავშირებული გზების სიგანე ცვლილება, მაგრამ სიგანე არ მცირდება 4.2 მეტრზე მეტად, რაც დასაშვებია 915.4 ქვეთავით და მისი მე-2 გამონაკლისით.

- ვინაიდან შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრზე მეტია და არ აღემატება 30 მეტრს, მელიქიშვილის გამზირიდან, კერძოდ კი გზის კიდიდან თარაზული მანძილი შენობის გარე კედლის უახლოეს ნაწილამდე განსაზღვრულია არანაკლებ 4.5 მეტრით და არა უმეტეს 9 მეტრის მანძილით, რაც შეესაბამება 915.8 ქვეთავის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნა სრულად არაა დაცული შარაშიძის ქუჩის უკანა ეზოდან, თუმცა ვინაიდან უკანა ეზო დამატებითი მისადგომია (და მისი მოწყობის ვალდებულება განისაზღვრება მეტი უსაფრთხოებისათვის) და ამასთანავე სახანძრო ტექნიკის მისადგომობა 2024 წლის 01 აგვისტოს შეთანახმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტთან MIA 5 24 02340852 განაცხადით, ამ ეტაპზე შესათანხმებელი პროექტისგან განსხვავებით მცირედიდ შეცვლილი კონფიგურაციით.

- სახანძრო ავტოკიბეების და ავტოამწეების დგომის დახრა არ აღემატება 10%-ს, რაც შეესაბამება 915.16 ქვეთავის მოთხოვნას.

8 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

  - +3.63 - +23.55 ნიშნულების დონეებზე განთავსებული სქ, სმ-1 და სწ-1 ჯგუფად კლასიფიცირებული საოფისე და მისი დამხმარე სივრცეების დაკავებულობის დატვირთვა თითოეულ სართულზე ჯამურად არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად მითითებული სართულებისთვის საჭიროა ორი გასასვლელის მოწყობა, რაც პროექტით გათვალისწინებულია. აღნიშნულ სართულებს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.
  - 0.00 ნიშნულზე განთავსებული საავჭრო სივრცის დაკავებულობის დატვირთვა და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური მანძილი აღემატება 1021.2(2) ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა არ არის 500 დამკავებელზე მეტი, შესაბამისად აღნიშნულ სივრცეს ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია გარე სივრცეში გამავალი ორი გზა-კარის სახით. ზემოაღნიშნული ორივე კარი იღება გასასვლელის მიმართულებით. რაც შეეხება საავჭრო სივრცისა და დერეფნის დამაკავშირებელი ორ კარს, აღნიშნულიდან ერთ-ერთი არ იღება გასასვლელის მიმართულებით, თუმცა ვინაიდან მითითებული კარი არ არის განხილული როგორც გასასვლელი საშუალება, შესაბამისად მასზე არ ვრცელდება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნა გასასვლელისაკენ სავალი მიმართლებით გაღებასთან დაკავშირებით.

    რაც შეეხება ამავე დონეზე განთავსებულ დამხმარე და ტექნიკურ სივრცეებს, აღნიშნულს ემსახურება ერთი დერეფნიდან გარე სივრცეში გამავალი, ხოლო მეორე გასასვლელთან მისადგომი კარი, რომელიც ლიფტის ლობის გავლით უკავშირდება გარე სივრცეს.

- -3.30 და -6.45 ნიშნულზე განთავსებული ავტოსადგომების და დამხმარე სივრცეების გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი აღემატება 1021.2(2) ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ამასთანავე -6.45 ნიშნულზე განთავსებული სართული წარმოადგენს მიწის დონის ქვედა მე-2 სართულს, შესაბამისად აღნიშნულ სართულებს ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა თანახმად 1021.2 და 1021.2.2 ქვეთავებისა. წარმოდგენილი პროექტით მითითებულ სართულებს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

- სართულების მომსახურე გზა-კიბეები წარმოადგენს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს. გზა-კიბეებში მოეწყობა მხოლოდ 1022.5 ქვეთავით გათვალისწინებული გაყვანილობები, რაც დასტურდება წარმოდგენილი საინჟინრო პროექტით.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებიდან ერთ-ერთი 0.00 ნიშნულის დონეზე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, ხოლო მეორე გზა-დერეფნების საშუალებით, რაც შეესაბამება 1022.3 ქვეთავის მოთხოვნას,.

- გზა-დერეფანი აკმაყოფილებს 1023 ქვეთავის მოთხოვნებს და მასში მოეწყობა მხოლოდ 1023.6 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები, რაც დასტურდება წარმოდგენილი საინჟინრო პროექტით.
- თითოეული სართულის დონეზე გზა-კიბეები განთავსებულია 1015.2.1 ქვეთავის და 403.5.1 ქვეთავის შესაბამისად.

- იმის გათვალისწინებით, რომ მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია დაწნევის სისტემა, კიბეებისთვის ვესტიბიულების მოწყობა არ არის საჭირო თანახმად 909.20.5 ქვეთავისა, თუმცა კიბისთვის ვესტიბიული განთავსებულია მიწის დონის ქვედა სართულების დონეებზე და ასეთი ვესტიბიულის ზომები აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.

- იმის გათვალისწინებით, რომ შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და შენობაში გათვალისწინებულია საავარიო ხმოვანი/განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა

გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 5,1 მმ-ია თითო დამკავებელზე. მიღებული მაჩვენებელი გადანაწილებულია შენობაში მოწყობილ გზა-კიბეებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული გზა-კიბის სიგანე ჯამური მონაცემებით აკმაყოფილებს 1005.3.1 ქვეთავის გამონაკლისს; ხოლო თითოეული მათგანი აკმაყოფილებს და აღემატება კიდეც 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეს (1.10 მეტრის სახით). აგრეთვე, ვინაიდან მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომ გასასვლელ საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის 1,2 მ მანძილის დაცვა აუცილებელი არ არის, თანახმად 1007.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისისა.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, შენობებისთვის სადაც გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა და საავარიო ხმოვანი/განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნების თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.20 მეტრს, ხოლო 0.00 ნიშნულის დონეზე განთავსებული გზა-დერეფნის სიგანე სულ მცირე 3,1 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, შენობებისთვის სადაც გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა და საავარიო ხმოვანი/განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობის ჯამური მონაცემები გადანაწილებულია შენობდან გამოსასვლელ გასასვლელებზე და მიღებული მაჩვენებელი ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.
- გზა-კიბის საზღვრებში კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობის სახურავი დაუკავებელია, მასზე განთავსებულია 1509.2 ქვეთავის შესაბამისი პენტჰაუსი და ტექნიკური დანადგარები, შესაბამისად სახურავთან მიდგომა ხორციელდება მონაცვლესაფეხურებიანი კიბეების საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.
- მონაცვლესაფეხურებიანი კიბეები აკმაყოფილებს 1009.13.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავის ლიუკი აკმაყოფილებს 1009.16.1 და 1009.16.2 ქვეთავების მოთხოვნებს.
- შენობაში გათვალისწინებული ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული სართულის დონეზე უზრუნველყოფილია საერთო სავალი ბილიკისადმი მოთხოვნები 1014.3 ცხრილის შესაბამისად.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.
- ვინაიდან შენობა წარმოადგენს მაღლივს და მიწის დონის ზედა სართულებზე გათვალისწინებულია სქ ჯგუფის დაკავებულობები, გასასვლელი ბილიკის კონტურული განათება გათვალისწინებულია გზა-კიბეებში და გზა-დერეფანში, წესების 1024 ქვეთავის შესაბამისად.

9 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა მისაწვდომია. მისაწვდომობა არაა გათვალისწინებული მხოლოდ -6.45 ნიშნულზე, ვინაიდან აღნიშნულ დონეზე არაა განთავსებული მისაწვდომი ავტოსადგომი.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მთავარ შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.
- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- საოფისე ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს. მისაწვდომი ტუალეტები მოწყობილია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მიხედვით.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- გარე ღია ავტოსადგომზე განთავსებულია მიკროავტობუსისათვის მისაწვდომი სადგომი, ხოლო -3.30 ნიშნულზე განთავსებულია მსუბუქი ავტომობილისათვის განკუთვნილი მისაწვდომი სადგომი, რაც შეესაბამება 1106.1 ცხრილის და 1106.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს, ლიფტს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- შენობაში არაა მოწყობილი თავშესაფრის ფართობები, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1007.3 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მიხედვით, ვინაიდან მთელი შენობა ავტოსაშხეფი სისტემითაა დაცული.

- თანახმად 1007.2.1 ქვეთავისა, შენობაში, სადაც აუცილებელი მისაწვდომი იატაკი შენობიდან გამოსასვლელის დონიდან ოთხზე მეტი სართულით ზემოთ ან ქვემოთაა, 1007.4 ქვეთავის შესაბამისი ლიფტი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უნდა იყოს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. შენობაში განთავსებული ლიფტი წარმოადგენს მისაწვდომ გასასვლელ საშუალებას. მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. მისაწვდომი გასასვლელი ლიფტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრომომარაგებით.

- ლიფტთან თავშესაფრის ფართობების მოწყობა არაა აუცილებელი, თანახმად 1007.4 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.

- შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტის ბაქნებთან მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს

სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია საოფისე ფართების მისაწვდომ ტუალეტებთან, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.
- სამზე მეტი სართულის დამაკავშირებელ გზა-კიბეებში მოეწყობილია გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშნები, თანახმად 1022.9 ქვეთავისა.
- მისაწვდომი გასასვლელის ნიშანი განთავსებული გასასვლელის მომსახურე ყველა შესაბამის კართან, რაც აკმაყოფილებს 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

10 შიგა გარემოს შეფასება:

